საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №37

2024 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხის დამტკიცების შესახებ

თავდაცვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების ზოგადი დებულებები (დანართი№1);

ბ) დაავადებების/ტრავმების ნუსხა (ICD-10) – (დანართი №2);

გ) სამხედრო-სამედიცინო კომისიის სხდომათა ოქმების წიგნი (დანართი №3);

დ) სამკურნალო შვებულების შესახებ ცნობა (დანართი №4);

ე) სამკურნალო შვებულების შესახებ ქვედანაყოფის ექიმის ცნობა (დანართი №5);

ვ) სამედიცინო შემოწმების ბარათი (დანართი №6)

ზ) წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირის სამედიცინო შემოწმების ბარათი (დანართი №7);

თ) ავადმყოფობის მოწმობა (დანართი №8).

მუხლი 2

„საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო-საექიმო ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 24 დეკემბრის №360 ბრძანების საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები, დოკუმენტები და განხორციელებული ქმედებები ინარჩუნებენ სამართლებრივ ძალას.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 7 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**